

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

25 ნოემბერი 2020 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, თამთა დვალისვილი, გელა ვარდოსანიძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, შოთა გიორგაძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** კობა ძაგნიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, მალხაზ ცერცვაძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირი:** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: ივანე მამფორია

### მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისიის მხრიდან წარმოდგენილ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებსაც წარმოგიდგენთ შემდგომი რეაგირებისათვის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით არ არის გათვალისწინებული თანხები საგზაო ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში. საჭიროა გამოინახოს თანხები აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად;

2. სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 9 ათასი ლარი წლის განმავლობაში, რაც ჩვენი აზრი არასაკმარისია. სასურველია გაიზარდოს დაფინანსება 20 ათას ლარამდე და მუნიციპალიტეტში გაიმართოს სპორტული პირველობები ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ სპორტის სახეობებში; ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნინო ხურციძის სახელობის საჭადრაკო პირველობის ჩასატარებელი თანხები 2021 წლის სექტემბერში (5000 ლარი);
3. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები წარმატებული სპორტსმენებისა და მეცნიერების წასახალისებლად;
4. ქალაქ ვანის ქუჩების და ზოგიერთ სოფელში ფირნიშების დასამზადებლად გათვალისწინებულ იქნას 15 ათასი ლარი;
5. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები „ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ დასაფინანსებლად;
6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზის ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

ზემოთაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში ჩვენი კომისია მზადაა მხარი დაუჭიროს წარმოდგენილ პროექტს.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი

#### **დაადგინეს:**

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე